ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5459490

ნომერი: AR1832868

თარიღი : 18.06.2021

გაცემის თარიღი : 21.06.2021

გაცნობის თარიღი : 21.06.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარჯანიშვილი , N 19; ქალაქი თბილისი , ქუჩა მარჯანიშვილი , N 19;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კაპანაძე პ/ნ 01003012478
- თბილისი მუხიანი I მ/რ კორ. 13 ბ. 51

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ივერია ფრანსი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205046074
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გელა ქობესაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 35001006521

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი კაპანაძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2021 წლის 18 ივნისის AR1832868 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კოტე მარჯანიშვილის ქ. N19-ში სარეკლამო აბრის შეცვლის ნებართვის გაცემის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ სარეკლამო წარწერები შესაძლებელია მოეწყოს მოცულობით ასეობით, ფონის გარეშე.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. წარმოდგენილი იქნეს არსებულის არეკლამო აბროს კანონიერების დამდგენი დოკუმენტი;

2..კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი -> .ძეგლის არქიტექტურული პროექტის pdf ფაილი:არ არის წარმოდგენილი განმარტებითი ბარათი სამუშოების აღწერით, ხელმოწერილი შემსრულებლის მიერ;

3..მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით. -> .მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით pdf ფაილი.: მითითებულია დემონტაჟი. განგიმარტავთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია. ამასთანავე განგიმარტავთ, რომ რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა". ამავე კანონის მე–3 მუხლის თანახმად: "ძეგლის რეკონსტრუქცია – დეტალურ სამეცნიერო კვლევებზე და ზუსტ ანაზომებზე დაყრდნობით, ახალი ან ძველი მასალით ან მათი კომბინაციის გამოყენებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეული ან დაშლილი ძეგლის ან მისი ფრაგმენტის პირვანდელი სახით ხელახლა აშენება";

4..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: არ არის წარმდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები შორი ხედიდან.

5. ფოტომონტაჟზე ჩანს გამწვანება, რაც არ არის ასახული არსებული სიტუაციის ფოტოებზე. წარმოდგენილი იქნეს განმარტება აღნიშნულის შესახებ და იმ შემთხვევაში, თუ გამწვანება წარმოადგენს საპროექტოს, ვინაიდან არ არის მისაღები გამწვანების მოწყობა, აღნიშნული ამოღებული იქნეს საპროექტო დოკუმენტაციიდან;

6.შპს „ივერია ფრანსსა” და შპს „დინო 2007”-ს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება ძალაში იყო 2018 წლის 1 ივნისამდე. 2018 წლის 1 ივნისის მხარეთა შეთანხმებით აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა 3 წლის ვადით და დღეისათვის, აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა უკვე გასულია. შესაბამისად, თუ მხარეთა შეთანხმებით აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელებულია, წარმოდგენილ იქნეს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე მესაკუთრის თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებზე ან ახალი სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საჭიროების შემთხვევაში, საჯარო რეესტრში რეგისტრაციით და მესაკუთრის თანხმობით.

7.წარმოდგენილ იქნეს შპს „ივერია ფრანსის” დირექტორის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.